საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/342

30 ივნისი, 2021 წ. ქ. ბათუმი

,,2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის № 01-08/471 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების" წესის, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის უფროსის ლ. ტარიელაძის 2021 წლის 28 ივნისის MES 4210000637145 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის გამო ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ რამაზ მიქელაძეს (პ/ნ) და ამოირიცხოს ბსუ-ს სტუდენტთა სიიდან.
2. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
3. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და წარდგენილ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს-სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს,

სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**